

1. მატერიის აგებულება ჩვენს ალქმად სამყაროში (ზოგადი ანალიზი)

1-1. ჩვენი ალქმადი სამყაროს აგებულების გააზრება ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის გათვალისწინებით უნდა დავიწყოთ, კერძოდ:

1. “სამყარო”, რომელსაც ჩვენ (ადამიანები) უზარმაზარ, ჩვენი გონებისათვის თითქმის წარმოუდგენელ მასშტაბებში აღვიქვამთ, სინამდვილეში, მატერიის უსასრულო იერარქიის უმნიშვნელო ფრაგმენტს წარმოადგენს;
2. მატერიის ეს პაწაწინა ფრაგმენტი (ანუ ჩვენს მიერ აღქმული “სამყარო”), თავის მხრივ, მისი შემადგენელი ბირთვულ–ორბიტალური ორგანიზაციული დონეების იერარქიული სისტემაა.

1-2. ამადენად, თუ გვსურს ჩვენი ალქმადი სამყაროს აგებულებაში გარკვევა, პირველრიგში, უნდა მოვახდინოთ:

1. მისი შემადგენელი ძირითადი ორგანიზაციული დონეების დადგენა;
2. მათი იერარქიული წყობის სწორად განსაზღვრა.

1-3. “სამყაროს” იმ ნაწილში, რომელსაც ჩვენ (მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე) ავად თუ კარგად სხეულებრივი ფორმით აღვიქვამთ, (როგორც აღვნიშნეთ) ოთხი ძირითადი ბირთვულ–ორბიტალური ორგანიზაციული დონე გამოიყოფა; ესენია:

- გალაქტიკური
- ვარსკვლავ–პლანეტარული
- ატომური
- ელექტრონული

1-4. “სამყაროს” იმ ნაწილში კი, რომელსაც (მისი სტრუქტურული ერთეულების სიმცირის გამო) სხეულებრივი ფორმით ვერ აღვიქვამთ, ძირითადი ბირთვულ–ორბიტალური ორგანიზაციული დონეების დადგენა მათზე ირიბად მიმანიშნებელი ორი ფაქტორის გამოყენებით მოგვიწევს; ესენია:

1. ჩვენს აღქმად სამყაროში მოძრავი “ველები” და “ტალღები” (გახსოვთ, ალბათ, ჩვენს მოდელში ე.წ. “ველი” სხვა არა არის რა, თუ არა ურთიერთქმედებაში მყოფი სხეულების შემადგენელ რომელიმე ქვედა ორგანიზაციული დონის ბირთვულ კონვეიერში ორბიტალური ნაკადების გადანაწილება და ურთიერთქმედება; ამიტომ, გასაგებია, რომ ჩვენს აღქმად სამყაროში ნებისმიერი სახის ველის არსებობა თავისთავად გულისხმობს მისი შესაბამისი ბირთვულ–ორბიტალური ორგანიზაციული დონის არსებობას).

ჩვენს აღქმად სამყაროში, როგორც ცნობილია, ჩვენთვის შესამჩნევი სულ სამი სახის “ველი” და “ტალღა” არსებობს — მხედველობაში გვაქვს:

— ელექტრული ველი

— მაგნეტური ველი

— სინათლის ტალღები

აქედან (ჩვენი თეორიული პრინციპების მიხედვით) ცხადია, რომ ჩვენს აღქმად სამყაროში უნდა არსებობდეს ამ ველების შესაბამისი ბირთვულ–ორბიტალური ორგანიზაციული დონეებიც, რომლებიც ჩვენი აღქმადი სამყაროს შემადგენელ იერარქიულ სისტემაში განსაზღვრულ (მათ შესაბამის) იერარქიულ საფეხურებს იკავებენ. ამ ორგანიზაციულ დონეებს ჩვენ, შესაბამისად, შეიძლება ვუწოდოთ **მანური**, **მაგური** და **ფოტური** ორგანიზაციული დონეები.

2. კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც მატერიის ბირთვულ–ორბიტალური ორგანიზაციული დონეების საფეხურებრივ იერარქიაში მომიჯნავე ორგანიზაციულ დონეებს ერთმანეთის საპირისპირო ბირთვულ–ორბიტალური შანთქმა–გამოსხივების თვისებები ახასიათებთ (მაგალითად, გალაქტიკებს, როგორც ცნობილია, აქვს შთანთქმელი ბირთვი და გამომსხივარი ორბიტალები, ვარსკვლავ–პლანეტარულ სისტემებს, პირიქით, გამომსხივარი ბირთვი და შთანთქმელი ორბიტალები, ატომებს — ისევ შთანთქმელი ბირთვი და გამომსხივარი ორბიტალები ...).

თუ ჩვენ არ ვცდებით და აქ მართლაც საქმე მატერიის იერარქიული წყობისთვის დამახასიათებელ ზოგად კანონზომიერებასთან გვაქვს, მაშინ, ცხადია, მანურ, მაგურ და ფოტურ ბირთვულ–ორბიტალურ ორგანიზაციულ დონეებს შორის (რომელთაც ბირთვულ–ორბიტალური შთანთქმა–გამოსხივების მსგავსი თვისებები ახასიათებთ) უნდა არსებობდეს

საპირისპირო ბირთვულ–ორბიტალური აქტივობის ორგანიზაციული დონეებიც (ანუ ორგანიზაციული დონეები, რომელთა ბაზისურ ფორმებს, ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე, ექნებათ გამომსახივარი ბირთვები და შთანთქმელი ორბიტალები)... ამ უკანასკნელთ ჩვენ პირობითად ვუწოდებთ **პრემანურ, მაგნეტონურ და ფოტონურ** ორგანიზაციულ დონეებს.

1-5. ასე რომ, ამ ლოგიკის თანახმად, ჩვენს აღქმად სამყაროს უნდა შეადგენდეს სულ ათი ძირითადი ბირთვულ–ორბიტალური ორგანიზაციული დონე; თუმცა, ჩვენში საფუძვლიან ეჭვს იწვევს მანური (და, შესაბამისად, პრემანური) ორგანიზაციული დონის რეალურად არსებობა. შეგახსენებთ, რომ ჩვენს მოდელში ეს ის სავარაუდო ორგანიზაციული დონეა, რომლის კონვეიერული ნაკადები შეიძლება წარმოქმნიდეს ჩვენთვის ყველასთვის კარგად ნაცნობ “ელექტრულ” (უფრო სწორად, “ელექტრო–სტატიკურ”) ველს.

მაგრამ არის კი ჩვენი აღქმადი სამყაროს იერარქიულ სტრუქტურაში “ელექტრო–სტატიკური” ველის წამომშობი ორგანიზაციული დონე ცალკე ორგანიზაციული საფეხური, თუ ელექტრო–სტატიკური ველი და მაგნიტური ველი ერთი და იმავე ორგანიზაციული დონის კონვეიერული ნაკადის სხვადასხვა სპექტრს წარმოადგენს? ურთიერთდამოკიდებულებების ის ლოგიკა, რაც ამ ველებს შორის რეალურად არსებობს (და რაზეც ჩვენ ამ წერილის ექსპერიმენტალურ ნაწილში გვექნება საუბარი), უფრო იმ აზრისკენ გვიბიძგებს, რომ ამ ველების სახით ერთი და იმავე ორგანიზაციული დონის ორბიტალური ნაკადის სახვადასხვა “სპექტრთან” გავაქვს საქმე და მანური (და, შესაბამისად, პრემანური) ორგანიზაციული დონე რეალურად არ უნდა არსებობდეს.

1-6. ერთი სიტყვით, ჩვენს აღქმად სამყაროს სულ რვა (ჩვენთვის პირდაპირ თუ არაპირდაპირ აღქმული) ძირითადი ბირთვულ–ორბიტალური ორგანიზაციული დონე უნდა შეადგენდეს.

ამ ცხრილში (ზოგი თქვენთვის უკვე ნაცნობი და ზოგიც ჩვენს მიერ შექმნილი ტერმინოლოგიის გამოყენებით) წარმოდგენილი და დახასიათებულია ეს ორგანიზაციული დონეები:

ჩვენი აღქმადი სამყაროს შემადგენელი

ძირითადი ბირთვულ–ორბიტალური ორგანიზაციული დონეები

ორგანიზაციული დონე	ბაზისური სტრუქტურა	ბირთვულ-ორბიტალური აქტივობის ხასიათი
1. გალაქტიკური	გალაქტიკა (შესდგება შავი ხვრელისა და ვარსკვლავებისგან)	შთანმთქმელი ბირთვი, გამომსხივებელი ორბიტალები
2. ვარსკვლავ-პლანეტარული	ვარსკვლავ-პლანეტარული სისტემა (შესდგება ვარსკვლავისა და პლანეტებისგან)	გამომსხივარი ბირთვი, შთანმთქმელი ორბიტალები
3. ატომური	ატომი (შესდგება ატომბირთვისა და ელექტრონებისგან)	შთანმთქმელი ბირთვი, გამომსხივებელი ორბიტალები
4. ელექტრონული	ელექტრონი (შესდგება ელ-ვარსკვლავისა და ელ-პლანეტებისგან)	გამომსხივარი ბირთვი, შთანმთქმელი ორბიტალები
5. მაგური	მაგი (შესდგება მაგ-ბირთვისა და მაგნეტონებისგან)	შთანმთქმელი ბირთვი, გამომსხივებელი ორბიტალები
6. მაგნეტონური	მაგნეტონი (შესდგება მაგნო-ვარსკვლავისა და მაგნო-პლანეტებისგან)	გამომსხივარი ბირთვი, შთანმთქმელი ორბიტალები
7. ფოტური	ფოტი (შესდგება ფოტ-ბირთვისა და ფოტონებისგან)	შთანმთქმელი ბირთვი, გამომსხივებელი ორბიტალები
8. ფოტონური	ფოტონი (შესდგება ფოტონ-ვარსკვლავისა და ფოტონ-პლანეტებისგან)	გამომსხივარი ბირთვი, შთანმთქმელი ორბიტალები

1-6. რაც შეეხება ამ ორგანიზაციული დონეების იერარქიულ წყობას.

ჩვენი აღქმადი სამყაროს იერარქიაში გალაქტიკური, ვარსკვლავ-პლანეტარული, ატომური და ელექტრონული ორგანიზაციული დონეების ადგილი, ვფიქრობთ, ისედაც ნათელია და, ამ თვალსაზრისით, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამ სისტემაში ასევე ნათელია მაგნეტონური და ფოტონური ორგანიზაციული დონეების ადგილიც, იმ გაგებით, რომ (როგორც ვთქვით) მაგნეტონური ორგანიზაციული დონე მოსდევს მაგურ ორგანიზაციულ დონეს, ფოტონური კი — ფოტურ ორგანიზაციულ

დონეს. ასე რომ, ჩვენს მოდელში გასარკვევი გვაქვს მხოლოდ მაგური და ფოტური ორგანიზაციული დონეების ადგილი ჩვენი აღქმადი სამყაროს იერარქიულ სისტემაში.

ვფიქრობთ, არც ამ საკითხის გარკვევა წარმოადგენს დიდ სირთულეს, რადგან მაგნეტური და ფოტონური ველების წარმომშობი ორგანიზაციული დონეების იერარქიული თანმიმდევრობა კარგად ჩანს ატომური ორგანიზაციული დონის მის შემადგენელ ქვედა ორგანიზაციულ დონეებად დაშლის ნებისმიერ მაგალითში, ვთქვათ, დედამიწის გარშემო ე.წ. ელექტროსფეროს, მაგნეტოსფეროს და სინათლის გავრცელების არეალების ურთიერთმონაცვლეობაში — დედამიწის ზედაპირიდან დაშორების კვალობაზე მატერიის ეტაპობრივი გაუხშოება (რასთანაც რეალურად ამ მაგალითში გვაქვს საქმე) საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ამ ველების შესაბამისი მაგური და ფოტური ორგანიზაციული დონეების ადგილი ჩვენი აღქმადი სამყაროს იერარქიულ სტრუქტურაში.

1-7. ერთი სიტყვით, ჩვენი აღქმადი სამყაროს შემადგენელი რვა ძირითადი ბირთულ-ორბიტალური ორგანიზაციული დონე (რომელთა აღქმაც ჩვენ დღეს პირდაპირ თუ არაპირდაპირ ძალგვიძს) საფეხურებრივი იერარქიის შემდეგ სისტემას წარმოქმნის:

+∞

2 — გალაქტიკური

1 — ვარსკვლავ-პლანეტარული

0 — ☺

- 1 — ატომური

- 2 — ელექტრონული

- 3 — მაგური

- 4 — მაგნეტონური

- 5 — ფოტური

- 6 — ფოტონური

- ∞

(აქვე დავძენთ, რომ ჩვენი აღქმადი სამყაროს შემადგენელი ბირვულ–ორბიტალური ორგანიზაციული დონეებისა და მათი იერარქიული წყობის ეს სქემა ჩვენს მოდელში, ფაქტიურად, წარმოადგენს სივრცის მეხუთე განზომილების სკალარულ სისტემას. მის შესახებ დაწვრილებით ჩვენს ერთ-ერთ ბოლო წერილში გვექნება საუბარი).

1-8. ჩვენი აღქმადი სამყაროს შემადგენელი ორგანიზაციული დონეების რიცხვი, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი (ანუ ძირითადი) ორგანიზაციული დონეებით. მათ გარდა, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენს აღქმად სამყაროში არსებობს გარდამავალი ორგანიზაციული დონეებიც, რომელთა შესახებ ჩვენ საგანგებოდ ჩვენი წერილის მეორე ნაწილში ვისაუბრებთ.